ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გაზეთი

საპრალთებიანი დამაგრება

გაზეთის № 286. კვირა, 24 აპრილი 1911 წ. დამატების № 50

წყევლის ჩანგი

ჩანგი გავტეხე, ავწყვიტე სიმი,
ზედ მოვაფინე მკვნარი ყვავილი,
ძეგლად დაუდგი დასაფლავებულს
მისივე კვნესა, ამოძახილი.
ჩანგი გავტეხე, ავწყვიტე სიმი,
და გადავაგდე მწირს უდაბნოში,
თუმცა სამარე ბარად მზათაა
ცრემლებით იაფ ჩემს სამშობლოში.
დე იქ ილოცოს თვალ-დახუჭულმა,
ვით მწირმა ძაძა შემოხვეულმა,
დეე, საფლავში ილოცოს ჩანგმა,
დეე, სევდაში იკვნესოს გულმა!

—

ახ, მახსოვს ერთხელ ვიყავ კოლხიდას
და მახსოვს ვიყავ მე ბედნიერი,
მიყვარდა მთები, ბიბინა ჭალა,
ლამე კაშკაშა, ლამე გიშერი,
და იქ ვმღეროდი წყაროსთან ერთად,
თვალს ღრუბელთ სრბოლით ვახალისებდი,
მინდორში მშვლებთან მეძინა ტკბილად,
მთებში ჯიხვებთან დავნავარდობდი.
ლამე სიზმარი მელოდდა ტკბილი,
დილით საამო მის მოგონება,
მაგრამ წავიდა, გაჰქრა ის ძილი,
გაჰქრა წავიდა სიამოვნება!

—

ჩემო სამშობლო, რად ხარ ლამაზი,
ეთერისაკენ რად ეძახი გულს,
რად ხარ ისევ მზე, ბედ-მზე-ჩასულო,
რისთვის უმღერი მარად სიყვარულს?
გველებს რად აძლევ მშვენიერებას,
შენს საკეკლუცეს, შენს ტრფიალებას,
დილის განთიადს პირზე ღიმილად,
სევდად საღამოს შემოლამებას!
ვინ არის, მითხარ, რომ შენს ედემში
გვერდს აუარო, თუ ვარდი ნახოს?
მაგრამ, როდესაც მკერდს მიისვენოს,
გულიდამ წყევლამ ამოიძახოს!

—

ნეტავ მეც სიზმრად გადამქცეოდა,
ან ყოფილიყო მხოლოდ ოცნება,
ნეტავ შორიდან ემღერა ჩანგსა
ლამაზ ეთერის ქებათა-ქება!



მუხრანის ხიდი ძ. ტფილისში.
რომლის კურთხევაც დანიშნულია სადღეისოთ.

—

არა, სიზმარი იგი არ იყო,
ტკბილად მივიკარ ჩემს გულზე ვარდი,
ვის არ გინახავთ, ყვავილს რომ სძინავს
და ფოთლებს კია გააქვთ ნავარდი.
ჩანგო, იმღერე, იმღერე ტკბილად,
დავჩურჩულებდი გახალისებულს,
მაგრამ უეცრივ გაუწყდა სიმი,
მთლად ათრთოლებულს, ამოკვნესებულს,
დავხედე, გველი ყელს ჩაჰხლართოდა,
ვარდის მაგიერ აწვდიდა ნესტარს,
მოწამლა სიმი, მოწამლა ჩანგი,
პასრი ისარით მთლად დაუჩხვლეტავს.

ახ, ევავ, ევავ, დიაცთა დედავ,
რად არ მოუვლი შენს ქალიშვილებს,
ნუ თუ არ გახსომს ცბიერებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სამოთხიდამ გამოგაცილეს.
შენ კი ლამაზო, ჩემო სამშობლო,
გველებს რად აძლევ მშვენიერებას,
პირზე ღიმილად დილის განთიადს,
სევდათ საღამოს შემოღამებას!

—

მაშინ გავტეხე მე იგი ჩანგი,
შორს გადავაგდე, გამოვეჭერ სულ სხვა,
და მთა და ბარად, გულ-შესაზარად
გაისმა წყევლა, გაისმა კრულვა.
ეს ჩანგი არის, ვარდი რომ უფრთხის,
ვითა კაენი მას ემალება,
ისრით ვატოკებ იმის სიმებ'ა
და წყევლის ჩანგი მას ეწოდება!

ი. ევდოშვილი.

† ა. ი. მანთაშევი,
ცნობილი მილიონერი და სომხეთის ქველ-მოქმედი,
რომელიც 19 აპრილს გარდაიცვალა პეტერბურგში.

მ ი მ ო ზ ა

(შელლი)

ნაწილი მეორე

მშვენიერსა და უცხო წალკოტში
ტურფა ღმერთ-ქალა დანარნარებდა,
იმისი მზერა ყვავილ-ბალახებს
სულ-გულს უტკბობდა და ახარებდა.
იმ ქვეყნის მადლი, მშვენიერება
მთლად მის სახეში ჩაქსოვილიყო
და არარად სჩანდა მასთან ყვავილი,
ზღვის ფსკერზე ლალად რომ გაშლილიყო.
არც დილით, დღისით და არც მწუხრის ჟამს
ყვავილებს გარდა არვინ ახსოვდა,
ბინდისას მის გარს ნელად მქროლავი
ვარსკვლავთა გუნდი სხივებსა ჰქსოვდა.
ის არ იცნობდა არც ერთს მომაკვდავს,
ცოდვებით ადრე დამძიმებულსა;
განთიადისა ნაზი ალერსი
ეშხით არხევდა, უთბობდა გულსა.
საიმქვეყნო სულს იდუმალებით
თითქოს მის ახლოს დაედო ბინა
და დღის ნათელში ამალებოდა,
თვის სახე რომ არ ეჩვენებინა.
როს გაჩნდებოდა იგი ბაღნარში,
მეჯლისი ჰქონდა ყვავილთ კრებასა:
ნელა ვიდოდა, ნელა სუნთქავდა
და ირგვლივ სთესდა ალტაცებასა.
ვით ლეკწამთ შორის ტალღათ ჩურჩული,
მისი ფეხის ხმა ისმოდა დილით
და თვის მსუბუქის ფეხის ნაკვალევს
თვითონვე შლიდა დალალთა ჩრდილით.
ყვავილ-ბალახნი თაყვანსა სცემდნენ
ამ მადლით სავსე, ცის მშვენებასა,
მის გამოვლაზე ველარ მალავდნენ
გულში დანთებული ტრფობის ვნებასა.
ყვავილთ ფურცელნი ღიმებოდნენ,
როს იგი უხვად ნამს ასხურებდა
და ვარსკვლავივით აბრწყინვალებულთ
ზემოდან ლხენით თავს დაჰყურებდა.
მუდამ ზრუნავდა, რომ ყვავილები
არ დაეჩაკრა ხეხილის ღალ ტოტს,
შვილებზე უფრო მეტად შესტრფოდა
ყოველ მცენარეს და მთელ იმ წალკოტს.
ყვავილების მტრებს—მწერებს და ჭიებს—
ხელით იქერდა, სადაც ჰპოვებდა,
ბაღიდან შორს... შორს... ტყეში მიჰყავდა
და ყველას ერთად იქა სტოვებდა.
იმათ რომ ტყეში არ მოსწყენოდათ,
გარეულ ბალახთ ჰკრეფავდა მარდად
და უზიდავდა, რადგან წრფელ გულით
სიცოცხლის დღენი მათაც უყვარდათ.
არ აწუხებდა პეპელებს, ფუტკრებს,
ყვავილთ ბაგეს რომ ჩაჰკონღბოდნენ
და, ვით ედემში ანგელოსები,
მათის ეშხით რომ თრთოდნენ, დნებოდნენ.
სუნნელოვანის ლიბანის ნაძვსა
გვერდს ჩაუვლიდა, ნაზად შესტრფოდა:
მის ქერქში მწერთა კვერცხები ეწყო,
მათში სიცოცხლის ნიავი ჰქროდა.
გაზაფხულის მზე-მის დედა იყო,
ნეტარება კი—ტურფა ზაფხული;
შემოდგომას ფრთა არ გაეშალა,
და ღმერთ-ქალამ კი დალია სული.

რ. ბებიაშვილი.

მ ე ზ ი ს ქ ვ ი ლ ი

ამბავი.

19..... წელს მეტად მკაცრი ზამთარი იყო საინგილოში. სოფლის მოხუცებს არ ახსოვდათ ასეთი ქარბუქიანი და ყინვიანი ზამთარი. ხევები სულ ერთიანად ამოავსო ნამქერმა, წყლები გადაჰყინა და შებოჭა. ისე იყო თოვლით სავსე არემარე, რომ კაცი ვერც კი მიჰხვდებოდა, სად იყო დაბლობი და სად მაღლობი, წყლის კალაპოტიც კი არ ეტყობოდა ზოგ ადგილას. სოფლის წისქვილები დიდი ხანია შესდგა, გაჭირდა ხორბლის დაფქვა. მხოლოდ ერთად ერთი აბდულას წისქვილი ღა ბრუნავდა და სიცოცხლე მოგეცათ საფქვავიც იმას მიაყარეს. აბდულა რალა წითელს კოჭს უგორებდა ყინვასა და თოვლსა, რომ მისი წისქვილი არ გაჰყინა? აბდულა მარჯვე კაცი იყო, მთელი დღეები დილიდან საღამომდის იდგა ნიჩბითა და ცულით და ებრძოდა ყინვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყინავდა თუ არა აიღებდა ცულსა და სჩეხდა გაცხარებული; რასაც ღამეში გაჰყინავდა და გააფუჭებდა ყინვა, დღისით ბოლოს უღებდა იმას აბდულა. სასტიკი, ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა ყინვას. აბდულა და ყინვა შეიბნენ. რასაც ყინვა ღამით ააშენებდა და საცოდავს წისქვილს ბოლის ჯავშანს არტყავდა, მუხრუჭს უჭერდა, იმას დღისით ულმობელად ძირსა სცემდა აბდულა და მისი წისქვილის ბორბალი ალჩეინად ტრიალებდა და სარეკელი ლეკურს უვლიდა. ორნივ თანატოლნი მებრძოლნი გამოდგნენ. აბდულას კიდევ ისა სწყალობდა, რომ წყალი მის არხში მეტად დაქანებული მოდიოდა და ყინვა ისე ვერ ეკიდებოდა, როგორც საჭირო იყო.

უხაროდა აბდულას; იქნება ბოლოს მეც ბედმა გამიღიმოს—ამბობდა ის თავის გულში, იმდენი ფული შემოძივიდეს ამ საფქვავიდან, რომ ჩემი დიდი ხნის წადილი ავისრულო. ამასთან უფრო მუყაითად და გაორკეცებულის მანეობით უშენდა ყინულს ცულს.

მეწისქვილე აბდულა ხასმამედაშვილი ერთი საწყალი მარტოხელი კაცი იყო, რომელსაც ამ წისქვილისა და ერთი თალარის მიწისა სხვა არაფერი გააჩნდა. ცოლი დიდიხანია მოჰკვდომოდა, არც შვილი და არც სხვა ვინმე მახლობელი არ გააჩნდა. მას შემდეგ სამუდამოდ შემოეკედლა ამ წისქვილს და შიგ სცხოვრობდა; ეს იყო მისი ავლა-დიდება, მას უვლიდა და მას შეჰხაროდა. ან კი სად წასულიყო, ოჯახობა მას არა ჰყავდა და სხვა. მას შემდეგ რაც ცოლი მოუკვდა კარგა ხანმა განვლო; აბდულა წელში მოიკაკვა, ხანში შევიდა. განუყრელის თეთრის მიტკლის ძალზედ გაჭუჭყიანებულის შარვლისა, რომელიც თავის დღეში არ ირეცხებოდა, დაგლეჯილის ახალოხისა და ერთის მოკლე დაგლეჯილის ჩოფუზისა*) არაფერი ებადა. ჩიფუხსაც, ჩოფუზობა ალარ ეთქმევოდა ისე იყო იღლიებსა და კალთებში ჩამოგლეჯილი და დაძონძილი, რომ გზაჩედაც გდებულიყო იშვიათად აიღებდა ვინმე. ერთი რამა ჰქონდა პატარა ხეირიანი აბდულს—ეს იყო თეთრი ფაფახი, რომელსაც ზამთარზაფხულ არ იშორებდა თავიდან და ღამითაც კი მასში ეძინა. მოკუზული, თვალებ ჩაწირპლებული აბდულა შორიდან დამნახველს ნამდვილი მათხოვარა ეგონებოდა.

ასეთი იყო გარეგნობით აბდულა, მაგრამ სამაგიეროდ გულით იყო კარგი და კეთილი, მკტად სათნოისა და მშვიდის ხასიათისა იყო და მთელს სოფელში სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. თითონაც სოფელს დიდს სამსახურს უწევდა. რამდენი იყო სოფელში ქვრივ-ობერი, რამდენს არ მოეპოვებოდა საქონელი, რომ ურმით მიეტანა საფქვავი წისქვილში; აბდულა ამისთანებს თავისს ზურგს შესთავაზებდა ხოლმე. მოიდებდა დიდს ტომრებს და მიარპევინებდა თავის წისქვილისაკენ. სწორედ ამ ტომრების ზიდვამ მოჰკაკვა აბდულა წელში.

მოუკიდნია ვეებერთელა ტომარა ზურგზე აბდულას. რის ხვნეშითა და ვიშით მიაქვს წისქვილისაკენ, თან ოფლი წუნწულით ჩამოსდის და თან ფიქრობს თავის გულში.—ამდენს ვაი უბედურობაში ვარ, შრომას და ჯაფას არ ვიზარებ და ნუ თუ ისე უნდა მოკკვდე, რომ კერა ჩამქრალი მქონდეს და ჩემი ოჯახი დედა-კაცს ვერ ეღირსოს.—ეჰ, ბახტიანი უნდა იყვეს ადამიანი, თორემ ჩემებრ საწყალ კაცს არ ეშველების არას გზით, გასწყდა ჩემთვის დედა-კაცი. ათი და თხუთმეტი თუმანი თეთრი**) სად ვიშოვნო, რომ ქალის პატრონს სამამისო მივსცე? ეჰ, მთელს ქვეყანაზედ ჩონა ვარ, უბედურნი, თორემ ცხოთა ქვეყანაში ქალებს მზითევსაც კი ატანენ თურმე მშობლები, ჩონში კი მზითევიც უნდა უყიდოს საცოლეს, ჩააცვა-დაახურო და კიდევ ძის მშობლებს ათი-თხუთმეტი თუმანიც სამამისო მისცე. კარგია ვისაც ბევრი ქალები ჰყავს, იმისთვის სარფაა, ჩემისთანა საწყალმა ქალის მთხოვნელმა რა უნდა ჰქნას? აკერ მოვდივარ და მოვსტირი რაც ის გილუსტა მომიკვდა, ჯერ მაშინ მის თხოვნისას დავვალიანდი და ეხლა ხელ-ახლივ საითლა ვიშოვნო სამამისო ფული.

ასე მილაპარაკობს ხოლმე აბდულა თავ-ჩაქინდრული და ვიდრე წისქვილს არ მიატანს ამ ფიქრში და ოცნებაში ვერც კი შეამჩნევს ხოლმე დალალვასა.

საღამო ჟამი იყო, უკვე ძალზედ ბნელოდა. მეტის-მეტი ყინულის ჩეხვისაგან დაღლილ-დაწყვეტილი აბდულა წის-

20 აპრილი: ჭლექის დღე ტფილისში.

1—2 ქალები ყვავილებსა ჰყიდიან. 3—ორი ხევსური ნასყიდ ყვავილებით.

*) ჩოფუზი ერთგვარი მატყლისაგან მოთელილი ზამთრის ტანსაცმელია, რომელსაც ღარიბები იცვამენ.

**) თეთრს საინგილოში ფულს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვილის კუთხეში მიმჯდარიყო და გიზგიზა ცეცხლზე ფეხებს ითბობდა. წისქვილი ხორბლით სავსე ტომრებით სავსე იყო, წისქვილის ქვას გრიალი გაჰქონდა და სარეკელი ლეკურს უკრავდა.

— ეჰ, ეჰ!—ამოიოხრა აბდულამ, როცა კარგად გამოშრა და მეტის სიცხისაგან იქით კედლისაკენ გაიწია,— ეს ამოდენა სავსე ტომრები, რომ ჩემი იყვეს, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ეჰ, ბევრის ნატვრა არ ვარგა, ნეტავ ჩქარა დამაფქვევინა, რომ ბლომად მინდი ავიღო, ემითაც კარგად წავა ჩემი საქმე.

— უუ, აბდულა, აბდულაისი, უცებ შემოსძახა ვიღამაც გარედან. წისქვილის ხრიალში ძლივ გაარჩია აბდულამ მოსულის ხმა.

— არზუმანს შენი თავი დუუპატიჟნია, ჩონსა მო ვახშმათაო.

— კაირა, კაირა მოასვლელ ვარ, პაწაი გავშრები, უთხრა პასუხად აბდულამ. მოპატიჟეც განშორდა წისქვილს და სახლისაკენ გაემართა.

არზუმანა აბდულასავით საწყალი კაცი იყო, მაგრამ მის ოჯახში ორი პარჯვე კაცი მუშაობდა, ცოლებიც კარგად ისჯებოდნენ და მუდამ საკმარისი ლუკმა ჰქონდათ სახლში. როცა აბდულა მივიდა არზუმანასთან შუაგულ ოთახში ცეცხლი ენთოთ და ვეებერთელა ჯირკვებს გიზგიზი გაჰქონდა იქვე ცეცხლის გვერდით დიდი ქვაბი იყო შემოდგმული და ფლავი იხარშებოდა—ეს ინგილოთა საყვარელი საქმელი.

მოსულ აბდულას ინგილოთა ჩვეულებისამებრ ყველანი ფეხზედ წამოუდგნენ, მიესალმნენ და ცეცხლისპირას ადგილი მისცეს დასაჯდომათ.

— კაი, ხართ, ჯალაბობით, ბახლებით (ბავშვებით) იკითხა აბდულამ.

— კაირა ვართ, კაირა ქურმუხისა და მარიამ დედის წყალობით, უპასუხა სახლის პატრონმა.

— ეჰ, არზუმან შენს სახლშიაც არ თბილებულა? კიდევ შეეკითხა აბდულა.

— საით ეთბილების, ამ გორ ზამთარ აქ არ კეთდების, არ ვიცი წელს საით მოვიდა ამგორი. დაჯექ აქეთკენ, აი აქეთ ტეტიმზედ შენთან საქმე რამ გვაქვს მოსალაპარაკებელი.

ყველამ გაიწ-გამოიწიეს და აბდულა შუაში ჩაისვეს. როცა აბდულა კარგად მოთბა ცეცხლზედ და არზუმანმაც გრძელ ჩიბუხს ჩვეულებისამებრ მოუკიდა, დაბალის ხმით დაუწყო ლაპარაკი აბდულას.

— აბდულა, შენ კა იცი ხარ, ჩონ შენთვის კეთილმონდომ ვართ. ფაისზედ, რომ თამაზაანთ სოლეიმანა მოკვდა, იმის ქვრივ გილუსტა შენთვის გასარიგებელ ვართ. იმის ძმა შენ თითონ იცი ხარ, თანახმა გახდება მე მგონი ექვს თუმან თეთრს მივცემთ, კიდონ სხვა სამაჯანკლოს 20 მანეთ თეთრს და შენი საქმე კარგად იქნების, ჰანსი ათ-თორმეტ თუმნათ გადარჩები. ხომ თაეში ჩავარდი აბდულა, მოიფიქრე, საქმე არ დასახანებელი არის, თუ ამ დღეებში საქმე არ გაუთავეთ, სხვა მთხოვნელი ბევრი ჰყავს, ჩოს ქოყონაში ხომ იცი ასეთი საქმე დიდხონს არ დავარდების.

აბდულა გულ-მოდგინეთ უსმენდა არზუმანს, თავჩაქინდრული ცეცხლს მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

ამ დროს ვახშამიც მოიტანეს, გრძელს ტაბაკზედ პური და ყველი-კარაქი ეწყო, დიდი სინი კიდევ თავმოდგმული ფლავით სავსე და დიდი კუჭულა ახალ-ნახადი ღვინით სავსე.

— აბა, ღმერთო შენ! აიღო გრძელი პური სახლის პატრონმა, ერთი ბოლო თითონ დაიჭირა ორივ ხელში, ხოლო მეორე აბდულას მისცა, გაიწ-გამოიწიეს, შუა გაგლიჯეს პური და ამასთანავე აბდულამაც წარმოსთქვა: —ღმერთო შენ! (ე. ი. ღმერთო შენ შეგვეწიე და პური გვიკურთხეო).

ვახშმათაც იგივე ლაპარაკი გაუგრძელა არზუმანამ, ურჩევდა მისთვის დაეჯერებინა თუ არ უნდოდა ხელიდან გაეშვა მოხერხებული დრო გილუსტის ძმას ფული უჭირდა და ვინც ჩქარა ჩაუთვლიდა ფულს ამას მისცემდა თავის ქვრივს დას.

— დიახ, კაი იქნების, სთქვა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ აბდულამ, ხუთ თუმან თეთრს ვიშოვნი, ღვთის წყალობით ამ ზამთარ კარგი შემოსავალი მაქვს, ხუთს თუმანზედ მეტისას გავყიდი ფქვილს, მაგრამ დანარჩენი საითლა ვიშოვნო. სომხით ვისესხო, რა ვქნა როდის ამოვალ იმის სესხისაგან. ემნდერ ეგ მიწაც დაგირავებული მაქვს, მაგის ვალიდგანაც ვერ ამოვსულვარ, ეხლა რაღა დამრჩომია, რაღა უნდა დავაგირაო.

— ოჰ, ბევრს ნუ ჰფიქრობ აბდულა, შესძახა არზუმანამ, იცოცხლე, კაი გამყოფოს უფალმა, ამ სიტყვებთან ერთად ღვინით სავსე არაწი ***) მოიყუდა, მოსვა და შემდეგ აბდულას გადასცა.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ გადასწყვიტეს სომხისთვის დაეგირავებინათ ხუთ თუმანში წისქვილი და გილუსტა ხელიდან არ გაეშვათ. ახალ-ნახადი ღვინო ისე მოეკიდა აბდულას, რომ ეხლა მზად იყო ყველაფერზედ დათანხმებულიყო. გადასწყვიტეს ხვალისთვის მაჯანკალი გაეგზავნათ და თუ დასთანხმდებოდნენ სომხისაგან ვალი აეღოთ. ლაპარაკში და მუსაიფში შუალამე შემოეპარათ, გარედ ქარი ზუზუნებდა და არა სცხრებოდა. ძალზედ შეზარხოშებული აბდულა ძლივს წამოდგა, გაისწორა ჩოფუზი, ფაფახი ცოტა წინ წამოიწია და გზას გაუდგა.

ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა აბდულა მოყინულს გზაზედ და თან რაღაც არა ჩვეულებრივს სიხარულით აღვსილი თავს აცანცარებდა. ქარმა დაუბერა, ნამქერი შიგ პირში შემოაყარა, მაგრამ აბდულას გზა არ აერია, მიდის წინ, მიდის. აგერ წისქვილიც, მის კარებიც, ქარმა კიდევ ძალზედ დაუბერა და თითქმის ძალზედ შეაგდო აბდულა წისქვილში. წისქვილის ქვას გრიალი აღარ გაჰქონდა, სარეკელი აღარ რეკავდა, წყალი გაყინულიყო და რკინის სალტასავით შემორტყმოდა წისქვილის ბორბალს. აბდულას ელდა ეცა, ბრაზი მოუვიდა, ნაღველი მოაწვა გულზედ. იმედი ჰქონდა ჩქარა საფქვავებს დაფქვავდა, ფულს იშოვნიდა და დიდი ხნის საწადელს აისრულებდა, ყინვა კი განგებ ხელს უცარავდა, მის სურვილს ფრთებს აკვეცავდა. გულ-მოსულმა აბდულამ როგორც იყო ბნელაში კუთხეში მიდებული ცული იპოვნა, აიღო ხელში, როგორც კარგმა მეომარმა თოფი, და ღარის ზევით შეყინულს წყალს დაუშინა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. უცებ ცული აბდულას ხელიდან გასხლტა, შორს გადავარდა, თითონაც ამ დროს წაბორძიკდა, დაეცა, თავი ყინულზედ დაჰკრა და გონება დაკარგული ძირს სხრიალით წავიდა და წისქვილის კედელსა და ღარის შუა უძრავად დარჩა.

მეორე დღეს საფქვავისთვის მოსულებმა გაყინული აბდულა იპოვნეს წისქვილის გვერდით, ბევრი ეცადნენ მის მობრუნებას, მაგრამ გვიანლა იყო.

***) საინგილოში ჭიქის მაგივრად თიხის პატარა ჭურჭელსა ხმარობენ, რომელშიაც ნახევარ ბოთლი ღვინო ჩადის.

ზ. ედილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"